March 2023 (№25)
Volume 9; Issue 1; Page No. 102-109
ISSN: 2346-7916 (Print)
ISSN: 2587-5043 (Online)

INTERNATIONAL JOURNAL OF LAW: "LAW AND WORLD" www.lawandworld.ge

https://doi.org/10.36475/9.1.9 Licensed under: CC BY-SA

THE IMPORTANCE OF MEDIATION IN THE PROCESS OF RESOLVING INTERNATIONAL PRIVATE DISPUTES

Ana Gurieli
Doctor of Law, Assistant Professor at the Faculty of Law of Caucasus International University, lawyer

ARTICLE INFO

Article History:

Received 07.12.2022
Accepted 22.02.2023
Published 31.03.2023

Keywords:

Alternative dispute resolution, Mediation, Legal proceedings

ABSTRACT

The normal functioning of the justice system existing in the state, which should ensure the satisfaction of the private interests of the subjects of law, should be evaluated as an expression of public and private interests. After all, the well-being of the subjects of law is significantly determined by the existence of a flexible dispute resolution system and mechanisms, the correct formation and implementation of which guarantees the stability of the civil turnover and the satisfaction of the interests of legal subjects. Despite the importance of the issue, ensuring that the legal subjects are offered fast and affordable forms of dispute resolution, remains to be a challenge. Achieving the mentioned goal becomes more difficult, when the dispute is loaded with international private law elements, is characterized by complexity in this way and its resolution is connected with a number of peculiarities.

That is why, on the one hand, it is considered important to make changes in the law of Georgia "On Private International Law", which will eliminate the risks of its misinterpretation. On the other hand, it is important to emphasize the role and importance of mediation in the process of resolving international private law disputes. Accordingly, following the legislative amendments, it is also considered important to raise public awareness in this direction and improve legal culture. The above-mentioned, significantly helps the formation of a chain of effective means of dispute resolution, where, on the other hand, an important place shall be given to the form of remote proceedings.

INTRODUCTION

Human history shows, that the existence of conflicts between people are inevitable. Therefore, one of the purposes of the existence of legislation is to neutralize them in order to ensure public order and peace.[1] Accordingly, the perfect functioning of the justice system operating in the state should be evaluated as a matter of interest for both – public and private law subjects. Regardless of the importance of the issue, which is related to the right to a fair trial, the overcrowdedness of the judicial system has historically been an actual issue and remains to be a challenge in the modern Georgian reality. The resolution of each dispute within the court system is associated with a long waiting period and the risks of violating the terms stipulated by the Civil Procedure Code of Georgia.

At the same time, it is recognized, that the internationalization of people's relations in the modern world led to the rapid development of directions of law, which regulate legal relations "burdened with foreign law". In private law, international private law has a dominant role in the process of regulating the relationship having the foreign element.[2] In some cases, the term "conflict of law" or the term "choice of law" is used as a synonym for private international law. It should be also noted that in the case of an international private law disputes, a decision must first be made – which state's law should be applied in relation to a specific case.[3] After all, there are various legal systems in the world, which are more or less different from each other. And each system of law operates in a specific area. For example, French law applies to the territory of France, not England. And English law applies in England, not in France.[4]

Accordingly, in case, when there is a dispute loaded with a foreign element, which is subject to the sphere regulated by the international private law, its resolution becomes even more complex. First of all, the subjects of law have to determine the following issue: which state's law should be applied to regulate the conflict; And only after that, the issue is assessed from a substantive point of view.

Therefore, in case of international private law disputes, the goal of offering legal subjects the means of quick and effective dispute resolution alternatives, becomes even more important. Achieving the mentioned goal should be considered possible through the development of alternative dispute means, among which mediation is the dominant form. Therefore, with legal regulation of mediation, the presentation of its importance in the process of resolving international private disputes should be considered a necessity for the development of the practice.

Considering the importance of the issue, the article discusses the importance of using mediation as a means of dispute resolution in the process of resolving international private law disputes and the existing challenges. At the same time, necessity of the changes in the law of Georgia "On Private International Law" is emphasized, because at the present time, the existence of defective regulation is evident, which can be used as a basis for its misinterpretation in practice.

As a methodological basis of the article, both general scientific – historical, as well as special – normative and comparative legal research methods are used.

1. CHARACTERISTICS OF INTERNATIONAL PRIVATE LAW DISPUTES

It is recognized that private international law as a branch of law, regardless of its name, is part of the national legislation of the states.[5] It answers the question of which state's law should be used for the purposes of settling a specific legal relationship. According to the recognized approach, in order to qualify the relationship as an international private legal relationship, there needs to be a private legal relationship containing a "foreign element". Such a relationship can exist in the follow-

1 Sudini L., (2016). Mediation in the Settlement of Business Disputes in Indonesia, Journal of Law, Policy and Globalization, p. 41.

2 Gabisonia Z., (2016). Georgian private international law, Tbilisi, p. 30.

3 Juenger F., (1994). Private International Law or International Private Law, King's College Law Journal, p. 45.

4 Salmond J., (1902). Territorial and Personal Law, Jurisprudence or the Theory of the Law, p. 599.

5 Bookman P., (1931). Boston University Law Review Online, Is Private International Law International? p. 9.

ing cases: a) if the subject of legal relationship is connected to a foreign element; b) the object of legal relationship is connected to a foreign element; c) legal facts, which must be confirmed, are connected to the foreign element.[6] The conclusion that the private international law belongs to the private law and not to the international law was finally solidified in the early the 1900s,[7] that is completely natural – international private law regulates the existing relations between subjects of private law.[8]

It should also be noted that mainly around the world and also in Great Britain, the term "private international law" is used as an alternative to the term "conflict law" used in the United States of America,[9] which is defined as the law on the applicable law.[10] And yet, when does the need to apply the law on private international law arise? It is clear that in the geographical area where the law is unified, there may not exist a coflict of laws and the need to resolve the relevant issue.[11] As mentioned, the necessity of private international law arises, when there exists a conflict of laws.

In any case, current events in the world, including the diversity of economic turnover, the development of modern technologies, or other circumstances affect the content and characteristics of the relationships between legal entities. In the world legal sphere, the number of cases where the foreign element exists, is increasing, which first of all raises the question of which country's law should be used for the purpose of settling a specific legal relationship. And only after this issue is resolved, the dispute can be settled from a material-legal point of view. That is why, in the mentioned case, subjects of law have to solve a complex issue, the search for the possibility of timely resolution of disputes becomes even more urgent. The issue is important to the extent that an unified chain of dispute resolution mechanisms operating throughout the state should ensure the implementation of interests of the subjects of law. And in this direction, in the process of discussing international private legal disputes, it is important to highlight the role of mediation as a means of dispute resolution and its importance, because it is a form of dispute resolution that, considering its fundamental ethical values, has the ability to transform the existence of the society.

2. THE ESSENCE OF MEDIATION AS A MEANS OF DISPUTE RESOLUTION AND THE EXPEDIENCY OF ITS USE IN THE PROCESS OF RESOLVING INTERNATIONAL PRIVATE LAW DISPUTES

For the purposes of determining the expediency of using mediation as a means of dispute resolution, in relation to the international private law disputes, it is important to represent the peculiarities of the case consideration through mediation.

What is mediation? Mediation is defined as a process in which a neutral third party helps disputing parties to resolve a dispute.[12] Since the 1980s and 1990s, different approaches have been formated in relation to alternative means of dispute resolution, namely mediation. According to the opinion of a part of the society, its functioning is evaluated positively, while the opinion of another part of society – is negative.[13] In any case, it is a fact, that in modern society, court proceedings are considered to be expensive and in most systems – an ineffective method of dispute resolution. The overcrowdedness of the city courts results in the fact that each civil legal dispute is being heard in court for years.[14] And the cases when mediation is completely unsuccessful are extremely rare. Even when

6 Gabisonia Z., (2016). Georgian private international law, Tbilisi, p. 31.

7 Hessel E., (1953). The Historic Bases of Private International Law, American Journal of Comparative Law, p. 297.

8 Becker J., (1916). Elements of Japanese Law , International Private Law Book II: Chapter X, p. 442.

9 Juenger F., (1995). Private International Law or International Private Law, King's College Law Journal, p. 45.

10 Rigaux F., (2000). Codification of Private International Law: Pros and Cons Conflict of Laws, Comparative Law and Civil Law: A Tribute to Symeon C. Symeonides, Louisiana Law Review, p. 1321.

11 Hessel E., (1953). The Historic Bases of Private International Law, American Journal of Comparative Law, p. 298.

12 Hyde L., (1984). Mediation, Juvenile & Family Court Journal, Core U.S. Journals, p. 57.

13 Lande J., (2000). Getting the Faith: Why Business Lawyers and Executives Believe in Mediation Harvard Negotiation Law Review, p. 140.

14 Lisnek P., (1993). Mediation: Untangling Business Disputes through ADR Feature, Commercial Law Bulletin, p. 12.

mediation does not end with an agreement, it has positive results – it is possible to narrow the range of issues to be discussed and/or neutralize mutual resentment.[15] One of the advantages of mediation is that parties have the opportunity to make a creative decision.[16] They are not bound by the claims.

However, mediation is always considered confidential in contrast to the court proceedings, as court proceedings are usually held in public. In mediation, there is always a presumption of confidentiality.[17] Confidentiality is a prerequisite for successful mediation. This principle helps to create an environment where parties can freely talk about their relationship. They know that information cannot be used against them.[18] It is also important to note that two standards of confidentiality are distinguished in the mediation process: internal and external confidentiality. The meaning of each is as follows: 1. Internal confidentiality involves the mediator's obligation to keep the information secretly from the other party, unless the relevant party has explicitly stated desire to disclose. 2. As for "external confidentiality", in accordance to the mentioned standard, any information disclosed during the mediation process must be protected from third parties. The mentioned requirement applies not only to the mediator, but also to the parties or participating third parties.[19]

It should be noted that the above-mentioned advantages of mediation, which have been indicated in an incomplete form, apply equally in case of implementation of any form of mediation. In theory and practice, three main forms of mediation are distinguished – judicial, private and court – annexed mediation forms.[20] In any case, nowadays mediation is recognized as one of the fastest means of dispute resolution, which at the same time ensures saving of financial resources of legal subjects.

It should also be noted, that from 2020, which was related to the pandemic situation and its consequences, the mentioned issue – timely resolution of disputes has gained special relevance. In addition, under the threat of a spread of the coronavirus, the issue of online dispute resolution has become more relevant, because in the presence of force majeure, whether it is caused by a pandemic or another reason, further delay of court proceedings can cause significant damage to the subjects of law.

That is why, recently, online means of dispute resolution have gained special importance. The use of technology has become necessary in order to maintain existing relationships between the subjects.[21] In fact, online mediation has been recognized as a fair, effective, convenient and inexpensive mean of dispute resolution accepted in the global e-commerce market.[22]

Therefore, nowadays, online mediation is widely used in the process of resolving various types of disputes, especially in relation to property disputes. For example, a website like TaoBao offers customers a solution to resolve sales issues through online negotiation. Pages – Ebay, Paypal are also considered to be the leaders in the field of online dispute resolution.[23] It is recognized that in addition to a number of advantages of online mediation, such as their convenience and availability, its impersonal nature is also considered as an advantage.[24]

However, of course, there exist opposite opinions as well – according to skeptics, mediation societies develop mediators' skills, that are related to direct communication. In their view, active listening, questioning skills, negotiation skills, body language or other means of non-verbal communication are considered to be critical for the success of mediation and may not be achieved in the online proceedings.[25]

15 Ehrman K., (1989). Why Business Lawyers Should Use Mediation ADR: Alternative Dispute Resolution, ABA Journal, p. 74.

16 Parish L., (2003). After the Mediation, What Feature on Alternative Dispute Resolution, p. 24.

17 Kovach K., (2004). Mediation Principles and Practice, third edition, "THOMSON WEST", p. 262.

18 Macturk Ch., (1995). Confidentiality in Mediation: The Best Protection Has Exceptions, Student Note American Journal of Trial Advocacy, p. 412.

19 Kallipetis M., (2014). Mediation Ethics in Europe, Dovenschmidt Quarterly, p. 71.

20 Khandashvili I., (2018). Judicial and Non-Judicial Forms of Alternative Dispute Resolution on the Example of Mediation in Georgia, p. 183.

21 Lenz C., (2021). Virtual Mediation – The New Modus? Section II: Alternative Dispute Resolution, Yearbook on International Arbitration, p. 160.

22 Lavi D., (2016). Three is not a Crowd: Online Mediation-Arbitration in Busines to Consumer Internet Disputes. U. Pa. J. Int l L., 37(3), p. 940

23 Zhao Y., (2008). Rethinking the Limitations of Online Mediation, American Journal of Mediation, p. 164.

24 Zhao Y., (2008). Rethinking the Limitations of Online Mediation, American Journal of Mediation, p. 163.

25 Krivis J., (2000). Taking Mediation Online, Law Practice

In response to this, it is possible to say that online mediation involves the use of standard mediation techniques, only in virtual space.[26] However, considering its nature, online mediation can be used with success in the process of resolving business disputes and disputes between corporations. After all, transnational societies represent the leading force of economic globalization.[27] And for them, the wise use of time and financial resources is very important.

In any case, in Georgia, the institution of mediation is supported by state policy. Following the legislative support of mediation, a number of important projects have been implemented. Therefore, its successful functioning across the state, along with other means of dispute resolution, in the chain, should be evaluated as a significant issue. Therefore, it is considered important to ensure effective use of its resources in relation to any category of dispute. More significantly, to resolve the disputes which are loaded with the international private law element, which, as mentioned, increases their complex nature and parties have to additionally determine – which state's law can be used while resolving a specific dispute. It should also be noted that in case of international private legal disputes, there is a high probability that the subjects of law may belong to different states and be in different countries physically, which further increases the costs related to litigation. Therefore, in such cases, the ability to conduct online mediation can acquire special importance. In this way, the time and financial resources of the conflict participants will be saved even more.

This approach echoes the reality that in recent years, both in Europe and globally, significant efforts have been made to develop means of non-judicial dispute resolution. Among them, online dispute resolution has been thought to have significant resources for resolving smaller disputes.[28] In addition, mediation has been recognized as a major force in the process of resolving international business disputes.[29]

3. ABOUT THE EXISTING REGULATION IN GEORGIA

It should be noted that, on the other hand, international private law includes many legal issues in the field of private law, including: business law, family law, bankruptcy law and others. It is the structure, that the Law of Georgia "On International Private Law" has been formed, which has not undergone significant changes since its adoption, and by objective evaluation, it is possible to recommend improving a number of its articles. For example, the following legal gap is noticeable: according to Article 68, Part 5 of the mentioned law, "The issue of recognizing a foreign court decision shall be considered by the Supreme Court of Georgia". And according to Article 73 of the same law, it is provided that "the decisions (rulings and resolutions) adopted by a court of first instance according to provisions of this Chapter shall be subject to appeal under the procedures established by law". Obviously, the existence of such regulation is contradictory and needs to be harmonized. In particular, if only the Supreme Court of Georgia, the court of the third instance, considers the issue of recognition of a foreign court decision, the court of the first instance, obviously, cannot provide decisions that can be regulated by the mentioned law.

Taking into account the above, it is considered important to harmonize the conflicting regulations in the law of Georgia "On Private International Law", to eliminate the existing inaccuracies.

CONCLUSION

The goal of the existence of the law is to protect the parties from harm caused by the conflict between them. In addition, in the modern world, the number of legal relations, which are characterized by a foreign element, is growing and, therefore, before resolving the dispute from a material

Quarterly, p. 19.

26 Lombardi E., (2012). Is Online Mediation the Way to Fit the Forum to the Fuss, Maastricht Journal of European and Comparative Law, p. 531.

27 Wang G., (2009). Mediation in the Globalized Business Environment, Asia Pacific Law Review 17 Asia Pac., p. 48.

28 Stegner M., (2017). Online Dispute Resolution: The Future of Consumer Dispute Resolution Section V: ADR Yearbook on International Arbitration, p. 347.

29 Posin Q., (2004) Mediating International Business Disputes, Fordham Journal of Corporate & Financial Law, p. 449.

and legal point of view, the law "On Private International Law" must be applied.

In addition, the perfect functioning of various forms of dispute resolution operating within the state significantly determines the stability of civil relations, ensures the realization of the interests of the subjects of law and should be considered as an expression of public interest. And after the legal regulation of mediation, it should be considered necessary, to show the importance of its use in the process of considering international private law disputes. Among them, it is desirable to focus on the possibility of using the resource of online mediation. In this direction, it is considered necessary to raise the awareness of the public so that the court shall be considered as one of the ways to resolve the dispute and not the only one. In the direction of raising public awareness, it is also important to involve legal professional societies in order to present mediation as one of the effective alternatives for resolving international disputes. On the other hand, it is considered necessary to improve the law of Georgia "On Private International Law" and eliminate the existing gaps.

Taking into account the above-mentioned recommendations, they will ensure the use of the possibility of timely resolution of existing private legal disputes, as well as the encouragement of the use of mediation throughout the state. For the subjects of law, the goal may become more visible – to trust mediation as a process, that allows realization of their best interests.

BIBLIOGRAPHY:

Normative acts:

1. The Civil Procedure Code of Georgia. <https://www.matsne.gov.ge> (In Georgian)
2. Law of Georgia "On Mediation". <https://www.matsne.gov.ge> (In Georgian)
3. Law of Georgia "On Private International Law". <https://www.matsne.gov.ge> (In Georgian)

Used literature:

1. Gabisonia Z., (2016). Georgian Private International law, Tbilisi.
2. Khandashvili I., (2018). Judicial and Non-Judicial Forms of Alternative Dispute Resolution on the Example of Mediation in Georgia,
3. Becker J., (1916). Elements of Japanese Law, International Private Law Book II: Chapter X.
4. Bookman P., (1931). Boston University Law Review Online, Is Private International Law International?
5. Burman H., (2009). Private International Law Tax, Estate and Individuals, International Lawyer (ABA).
6. Ehrman K., (1989). Why Business Lawyers Should Use Mediation ADR: Alternative Dispute Resolution, ABA Journal.
7. Hyde L., (1984). Mediation, Juvenile & Family Court Journal, Core U.S. Journals.
8. Hessel E., (1953). The Historic Bases of Private International Law, American Journal of Comparative Law.
9. Juenger F., (1994). Private International Law or International Private Law, King's College Law Journal.
10. Juenger F., (1995). Private International Law or International Private Law, King's College Law Journal.
11. Kallipetis M., (2014). Mediation Ethics in Europe, Dovenschmidt Quarterly.
12. Krivis J., (2000). Taking Mediation Online, Law Practice Quarterly.
13. Kovach K., (2004). Mediation Principles and Practice, third edition, THOMSON WEST .
14. Lavi D., 2016. Three is not a Crowd: Online Mediation-Arbitration in Busines to consumer Internet Disputes. U. Pa. J. Int l L., 37(3).
15. Lenz C., (2021). Virtual Mediation – The New Modus? Section II: Alternative Dispute Resolution, Yearbook on International Arbitration.
16. Lande J., (2000). Getting the Faith: Why Business Lawyers and Executives Believe in Mediation
17. Harvard Negotiation Law Review.
18. Lisnek P., (1993). Mediation: Untangling Business Disputes through ADR Feature, Commercial Law Bulletin, p. 12
19. Lombardi E., (2012). Is Online Mediation the Way to Fit the Forum to the Fuss, Maastricht Journal of European and Comparative Law.
20. Macturk Ch., (1995). Confidentiality in Mediation: The Best Protection Has Exceptions, Student Note American Journal of Trial Advocacy.
21. Parish L., (2003). After the Mediation, What Feature on Alternative Dispute Resolution.

22. Petsche M., (2013). Mediation as the Preferred Method to Solve International Business Disputes: A Look into the Future.
23. Posin Q., (2004) Mediating International Business Disputes, Fordham Journal of Corporate & Financial Law.
24. Rigaux F., (2000). Codification of Private International Law: Pros and Cons Conflict of Laws, Comparative Law and Civil Law: A Tribute to Symeon C. Symeonides, Louisiana Law Review.
25. Salmond J., (1902). Territorial and Personal Law, Jurisprudence or the Theory of the Law.
26. Stegner M., (2017). Online Dispute Resolution: The Future of Consumer Dispute Resolution Section V: ADR Yearbook on International Arbitration.
27. Sudini L., (2016). Mediation in the Settlement of Business Disputes in Indonesia, Journal of Law, Policy and Globalization.
28. Wang G., (2009). Mediation in the Globalized Business Environment, Asia Pacific Law Review 17 Asia Pac.
29. Zhao Y., (2008). Rethinking the Limitations of Online Mediation, American Journal of Mediation.

მედიაციის მნიშვნელობა საერთაშორისო კერძოსამართლებრივი დავების გადაწყვეტის პროცესში

ანა გურიელი
სამართლის დოქტორი, ასისტენტ პროფესორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტი, ადვოკატი

საკვანძო სიტყვები: გადაწყვეტა, ალტერნატივა, უცხო

შესავალი

კაცობრიობის ისტორია გვიჩვენებს, რომ ადამიანებს შორის გარდაუვალია კონფლიქტების არსებობა. ამიტომაც, კანონმდებლობის არსებობის ერთ-ერთი მიზანია მათი განეიტრალება იმისათვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოებრივი წესრიგი და სიმშვიდე.[1] შესაბამისად, სახელმწიფოს მასშტაბით მოქმედი მართლმსაჯულების განმახორციელებელი სისტემის სრულყოფილი ფუნქციონირება, როგორც საჯარო, აგრეთვე კერძო სამართლის სუბიექტთა ინტერესის საგნად უნდა შეფასდეს. საკითხის მნიშვნელობის მიუხედავად, რაც პირდაპირ და უშუალო კავშირშია სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებასთან, სასამართლო სისტემის გადატვირთულობა ისტორიულად წარმოადგენდა აქტუალურ საკითხს და თანამედროვე ქართულ რეალობაშიც გამოწვევად რჩება. სასამართლო სისტემის ფარგლებში თითოეული დავის განხილვა უკავშირდება ხანგრძლივი ლოდინის პერიოდს და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ვადების დარღვევის რისკებს.

ამასთან აღიარებულია, რომ თანამედროვე მსოფლიოს ხალხების ცხოვრებისეულ ურთიერთობათა ინტერნაციონალიზაციამ განაპირობა სამართლის იმ დარგების სწრაფი განვითარება, რომლებიც მოწოდებულნი არიან ე.წ. „უცხო სამართლით დატვირთული" სამართლებრივი ურთიერთობები მოაწესრიგონ. კერძო სამართალში უცხო ელემენტის მატარებელი ურთიერთობის რეგულირებისათვის დომინირებული როლი კი საერთაშორისო კერძო სამართალს უკავია.[2] საერთაშორისო კერძო სამართლის სინონიმად, რიგ შემთხვევაში გამოიყენება ტერმინი „კოლიზიური სამართალი: ან ტერმინი „სამართლის არჩევანი". აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო კერძოსამართლებრივი დავის შემთხვევაში, უპირველესად მიღებული უნდა იყოს გადაწყვეტილება, თუ რომელი სახელმწიფოს სამართალი უნდა იყოს გამოყენებული კონკრეტულ საქმესთან მიმართებით.[3] მსოფლიოში ხომ სამართლის სხვადასხვა სისტემები არსებობს, რომლებიც მეტ-ნაკლებად ურთიერთგანსხვავებულნი არიან. ხოლო სამართლის თითოეული სისტემა მოქმედებს კონკრეტულ ტერიტო-

1 Sudini L., (2016). Mediation in the Settlement of Business Disputes in Indonesia, Journal of Law, Policy and Globalization, p. 41.

2 გაბისონია ზ., (2016). ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, თბილისი, გვ. 30.

3 Juenger F., (1994). Private International Law or International Private Law, King's College Law Journal, p. 45.

რიაზე. მაგალითად, ფრანგული სამართალი მოქმედებს საფრანგეთის ტერიტირიაზე და არა ინგლისის. ხოლო ინგლისური სამართალი მოქმედებს ინგლისში და არა საფრანგეთში.[4]

შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს უცხო ელემენტით დატვირთული დავასთან, რომელიც საერთაშორისო კერძო სამართალით რეგულირებულ სფეროს ექვემდებარება, მისი განხილვა კიდევ უფრო მეტად კომპლექსურ ხასიათს იძენს. სამართლის სუბიექტებს, უპირველესად, უწევთ შემდეგი საკითხის განსაზღვრა: თუ რომელი სახელმწიფოს სამართლის გამოყენებით უნდა დარეგულირდეს კონფლიქტი; და მხოლოდ ამის შემდგომ ფასდება საკითხი მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით.

ამიტომ, საერთაშორისო კერძოსამართლებრივი დავების შემთხვევაში, კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს სამართლის სუბიექტთათვის დავის სწრაფი და ეფექტური გადაწყვეტის საშუალების შეთავაზების მიზანი. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებლად უნდა ჩაითვალოს დავის ალტერნატიული საშუალებების განვითარების გზით, რომელთა შორისაც, დომინირებულ ფორმას მედიაცია იკავებს. ამიტომ, მედიაციის საკანონმდებლო მოწესრიგების კვალდაკვალ, მისი მნიშვნელობის წარმოჩენა, საერთაშორისო კერძოსსამართლებრივი დავების გადაწყვეტის პროცესში, პრაქტიკის სრულფასოვანი განვითარებისათვის აუცილებლობად უნდა შეფასდეს.

საკითხის მნიშვნელობის გათვალისწინებით, სტატიაში განხილულია მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის საშუალების, გამოყენების მნიშვნელობა საერთაშორისო კერძოსამართლებრივი დავების გადაწყვეტის პროცესში და არსებული გამოწვევები. ამასთან, იკვეთება საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის სრულყოფის აუცილებლობა, რამეთუ მიმდინარე დროისათვის თვალსაჩინოა ხარვეზული რეგულირების არსებობა, რაც პრაქტიკაში შესაძლებელია საფუძვლად დაედოს მის არასწორ ინტერპრეტირებას.

ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძვლად გამოყენებულია როგორც ზოგადმეცნიერული – ისტორიული, აგრეთვე, სპეციალური – ნორმატიული და შედარებითსამართლებრივი კვლევის მეთოდები.

საერთაშორისო კერძოსამართლებრივი დავების მახასიათებლები

აღიარებულია, რომ საერთაშორისო კერძო სამართალი, როგორც სამართლის დარგი, მისი სახელწოდების მიუხედავად, წარმოადგენს სახელმწიფოთა ეროვნული კანონმდებლობის ნაწილს.[5] ის პასუხს სცემს კითხვაზე, თუ რომელი სახელმწიფოს სამართალი უნდა იყოს გამოყენებული კონკრეტული სამართალურთიერთობის მოწესრიგების მიზნებისათვის. აღიარებული მიდგომით, იმისათვის რათა სახეზე იყოს საერთაშორისო კერძოსამართლებრივი ურთიერთობა, საჭიროა არსებობდეს „უცხო ელემენტის“ შემცველი კერძოსამართლებრივი ურთიერთობა. ამგვარი ურთიერთობა კი შესაძლებელია არსებობდეს შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუკი სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი არის უცხო ელემენტის მატარებელი;

ბ) სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი არის უცხო ელემენტის მატარებელი;

გ) იურიდიული ფაქტები, რომელთა დადასტურებაც უნდა მოხდეს, არის უცხო ელემენტის მატარებელი.[6]

დასკვნა, რომ საერთაშორისო კერძო სამართალი განეკუთვნება კერძო სამართლის სფეროს და არა საერთაშორისო სამართალს, საბოლოოდ განმტკიცდა ჯერ კიდევ 1900-იან წლებში,[7] რაც სრულიად ბუნებრივია – საერთაშორისო კერძო სამართალი აწესრიგებს კერძო სამართლის სუბიექტთა შორის არსებულ ურთიერთობებს.[8]

4 Salmond J., (1902). territorial and personal law, Jurisprudence or the Theory of the Law, p. 599.

5 Bookman P., (1931). Boston University Law Review Online, Is Private International Law International? p. 9.

6 ÒÐÑØáÝÜØÐ Ö., (2016). åÐà×ãÚØ áÐÔà×ÐèÝàØáÝ ÙÔàëÝ áÐÛÐà×ÐÚØ, ×ÑØÚØáØ, ÒÕ. 31.

7 Hessel E., (1953). The Historic Bases of Private International Law, American Journal of Comparative Law, p. 297.

8 Becker J., (1916). Elements of Japanese Law , International Private Law Book II: Chapter X, p. 442.

აღსანიშნავია ისიც, რომ ძირითადად მთელ მსოფლიოსა და აგრეთვე დიდ ბრიტანეთშიც, ტერმინი „საერთაშორისო კერძო სამართალი“ გამოყენება ამერიკის შეერთებულ შტატებში მიღებული ტერმინის – „კონფლიქტური სამართალის“ ალტერნატივად,[9] რომელიც განისაზღვრება, როგორც კანონი გამოსაყენებელი კანონის შესახებ.[10] და მაინც, როდის წარმოიშობა საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის გამოყენების საჭიროება? ცხადია, რომ იმ გეოგრაფიულ არეალში, სადაც სამართალი უნიფიცირებულია, არ არსებობს კანონთაშორისი კონფლიქტი და შესაბამისი საკითხის გადაწყვეტის აუცილებლობა.[11] როგორც აღინიშნა, საერთაშორისო კერძო სამართლის გამოყენება აუცილებელი ხდება მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს კანონთა კოლიზიასთან.

ნებისმიერ შემთხვევაში, მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები, მათ შორის – ეკონომიკური ბრუნვის მრავალფეროვნება, თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარება, თუ სხვა გარემოებები გავლენას ახდენს სამართლის სუბიექტთა ურთიერთობის შინაარსსა და მახასიათებლებზე. მსოფლიო სამართლებრივ სივრცეებში, სულ უფრო იზრდება იმგვარი შემთხვევების რაოდენობა, როდესაც სამართლებრივ ურთიერთობებში იკვეთება უცხო ელემენტის არსებობა, რაც უპირველესად წარმოშობს კითხვას, თუ რომელი სახელმწიფოს სამართალი უნდა იყოს გამოყენებული კონკრეტული სამართალურთიერთობის მოწესრიგების მიზნებისათვის. და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეს საკითხი იქნება გადაწყვეტილი, შეიძლება დავა გადაწყდეს მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით. სწორედ ამიტომ, რამეთუ აღნიშნულ შემთხვევაში, სამართლის სუბიექტებს უწევთ მეტად კომპლექსური საკითხის გადაწყვეტა, მით უფრო აქტუალური ხდება დავების დროული გადაწყვეტის შესაძლებლობის ძიება. საკითხი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სახელმწიფოს მასშტაბით მოქმედი დავის გადაწყვეტის მექანიზმების ერთიანი ჯაჭვი, უნდა უზრუნველყოფდეს სამართლის სუბიექტთა ინტერესების განხორციელებას. ხოლო ამ მიმართულებით, საერთაშორისო კერძოსამართლებრივ დავებზე მსჯელობის პროცესში, მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს მედიაციის როგორც დავის გადაწყვეტის საშუალების როლი და მისი მნიშვნელობა, რამეთუ ეს არის დავის გადაწყვეტის ფორმა, რომელსაც მისი ფუნდამენტური ეთიკური ღირებულებების გათვალისწინებით, აქვს უნარი განახორციელოს საზოგადოების ყოფის ტრანსფორმაცია.

მედიაციის, როგორც დავის გადაწვეტის საშუალების არსი და მისი გამოყენების მიზანშეწონილობა საერთაშორისო კერძოსამართლებრივი დავების გადაწყვეტის პროცესში

საერთაშორისო კერძოსამართლებრივ დავებთან მიმართებით, მედიაციის როგორც დავის გადაწყვეტის საშუალების გამოყენების მიზანშეწონილობის განსაზღვრის მიზნებისათვის, მნიშვნელოვანია მედიაციის ფარგლებში საქმის განხილვის თავისებურებების წარმოჩენა.

რა არის მედიაცია? მედიაცია განისაზღვრება როგორც პროცესი, რომლის ფარგლებშიც მესამე ნეიტრალური პირი ეხმარება ურთიერთდაპირისპირებულ მხარეებს, გადაწყვიტონ დავა.[12] 1980-1990-იანი წლებიდან დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებებთან, კერძოდ მედიაციასთან მიმართებით ჩამოყალიბდა არაერთგვაროვანი მიდგომები. საზოგადოების ნაწილის მოსაზრებით, მისი ფუნქციონირება დადებითად ფასდება, ხოლო ნაწილის აზრი უარყოფითია.[13] ნებისმიერ შემთხვევაში ფაქტია, რომ თანამედროვე საზოგადოებაში, სასამართლო საქმისწარმოება

9 Juenger F., (1995). Private International Law or International Private Law, King's College Law Journal, p. 45.

10 Rigaux F., (2000). Codification of Private International Law: Pros and Cons Conflict of Laws, Comparative Law and Civil Law: A Tribute to Symeon C. Symeonides , Louisiana Law Review, p. 1321.

11 Hessel E., (1953). The Historic Bases of Private International Law, American Journal of Comparative Law, p. 298.

12 Hyde L., (1984). Mediation, Juvenile & Family Court Journal, Core U.S. Journals, p. 57.

13 Lande J., (2000). Getting the Faith: Why Business Lawyers and Executives Believe in Mediation Harvard Negotiation Law Review, p. 140.

განიხილება როგორც ძვირი და სისტემათა უმრავლესობაში – დავის გადაწყვეტის არაეფექტური მეთოდი. საქალაქო სასამართლოების გადატვირთულობა შედეგობრივი თვალსაზრისით იწვევს იმას, რომ თითოეული სამოქალაქოსამართლებრივი დავა სასამართლოში წლების განმავლობაში განიხილება.[14] ხოლო შემთხვევები, როდესაც მედიაცია სრულად უშედეგოა, ძალზედ იშვიათია. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მედიაცია არ სრულდება შეთანხმებით, მას გააჩნია დადებითი შედეგები-შესაძლებელია შევიწროვდეს განსახილველ საკითხთა წრე ან/და განეიტრალდეს ურთიერთწყენა.[15] მედიაციის ერთ-ერთ უპირატესობას წარმოადგენს ისიც, რომ მხარეებს აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ კრეატიული გადაწყვეტილება.[16] ისინი არ არის შეზღუდულნი სასარჩელო მოთხოვნებით.

ამასთან, მედიაცია ყოველთვის მიიჩნევა კონფიდენციალურად სასამართლოსგან განსხვავებით, რადგან სასამართლო პროცესი, ჩვეულებრივ, საჯაროდ იმართება. მედიაციაში კი კონფიდენციალურობის პრეზუმფცია ყოველთვის არსებობს.[17] კონფიდენციალურობა მედიაციის წარმატების საწინადარია. აღნიშნული პრინციპი ხელს უწყობს იმგვარი გარემოს შექმნას, სადაც მხარეები თავისუფლად საუბრობენ მათი ურთიერთობის შესახებ. მათ იციან, რომ ინფორმაცია, რომელიც გაჟღერდება, ვერ იქნება მათ წინააღმდეგ გამოყენებული.[18] მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ მედიაციის პროცესში განასხვავებენ კონფიდენციალურობის ორ სტანდარტს: შიდა და გარე კონფიდენციალურობას. თითოეულის მნიშვნელობა შემდეგია: 1. შიდა კონფიდენციალურობა მოიაზრებს მედიატორის ვალდებულებას, ერთი მხარის მიერ გამჟღავნებული ინფორმაციას იყოს დაცული მეორე მხარისაგან, გარდა იმ შემთხვევასა, თუ მისი გამჟღავნების სურვილის შესახებ არ იქნება შესაბამისი მხარის მიერ ცხადად განცხადებული. 2. რაც შეეხება „გარე კონფიდენციალურობას", აღნიშნული სტანდარტის შესაბამისად ნებისმიერი ინფორმაცია რაც გამჟღავნდება მედიაციის პროცესში, უნდა იყოს დაცული მესამე პირებისაგან. აღნიშნული მოთხოვნა კი ვრცელდება არა მხოლოდ მედიატორის-არამედ მხარეებისა თუ მონაწილე მესამე პირების მიმართაც.[19]

აღსანიშნავია, რომ მედიაციის ზემოაღნიშნული უპირატესობები, რაც არასრული სახით იქნა მითითებული, თანაბარმნიშვნელოვნად ვრცელდება მედიაციის ნებისმიერი ფორმის განხორციელების შემთხვევაში. თეორიასა თუ პრაქტიკაში ხომ განასხვევებენ მედიაციის სამ ძირითად ფორმას – სასამართლო, კერძო და სასამართლოსმიერი მედიაციის ფორმებს.[20] ნებისმიერ შემთხვევაში, დღესდღეობით მედიაცია აღიარებულია, როგორც დავის გადაწყვეტის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი საშუალება, რომელიც, ამავდროულად, უზრუნველყოფს სამართლის სუბიექტთა ფინანსური რესურსის დაზოგვას.

აქვე აღსანიშნავია, რომ უკვე 2020 წლიდან (პანდემიასა და მის შედეგებთან დაკავშირებით) განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა მითითებულმა – დავების დროული გადაწყვეტის საკითხმა, რაც სწორედ მედიაციის საშუალებით შეიძლებოდა ყოფილიყო მიღწეული. ამასთან, კორონავირუსის გავრცელების საფრთხეების პირობებში, მეტად აქტუალური გახდა დავების დისტანციური გადაწყვეტის საკითხი, რამეთუ ფორსმაჟორის არსებობისას, იქნება ეს პანდემიით თუ სხვა საფუძვლით გამოწვეული, სასამართლო პროცესების კიდევ უფრო მეტად გაჭიანურებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვიოს სამართლის სუბიექტებისთვის.

ამიტომაც, ბოლო პერიოდში, დავის გადაწყვეტის ელექტრონულმა საშუალებებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. ტექნოლოგიების გამოყენება გახდა აუცილებელი იმისათვის, რათა სუბიექტთა შორის არსებული ურთიერთობები შენარჩუნებულიყო.[21]

14 Lisnek P., (1993). Mediation: Untangling Business Disputes through ADR Feature, Commercial Law Bulletin, p. 12.

15 Ehrman K., (1989). Why Business Lawyers Should Use Mediation ADR: Alternative Dispute Resolution, ABA Journal, p. 74.

16 Parish L., (2003). After the Mediation, What Feature on Alternative Dispute Resolution, p. 24.

17 Kovach K., (2004). Mediation Principles and Practice, third edition, "THOMSON WEST", p. 262.

18 Macturk Ch., (1995). Confidentiality in Mediation: The Best Protection Has Exceptions, Student Note American Journal of Trial Advocacy, p. 412.

19 Kallipetis M., (2014). Mediation Ethics in Europe, Dovenschmidt Quarterly, p. 71.

20 ყანდაშვილი ი., (2018). საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, გვ. 183.

21 Lenz C., (2021). Virtual Mediation – The New Modus?

ფაქტობრივად დისტანციური მედიაცია აღიარებულ იქნა, როგორც ელექტრონული ვაჭრობის გლობალურ ბაზარზე მიღებული, დავის გადაწყვეტის სამართლიანი, მოქმედი, ხელსაყრელი და იაფი საშუალება.[22]

შესაბამისად, ამ დროისათვის დისტანციური მედიაცია ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა ტიპის დავების გადაწყვეტის პროცესში, მით უფრო, ქონებრივ დავებთან მიმართებით. მაგალითად, იმგვარი ვებგვერდი, როგორიცაა TaoBao მომხმარებელს დისტანციურ გაყიდვებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას დისტანციური მოლაპარაკების გზით სთავაზობს. გვერდები – Ebay, Paypal აგრეთვე ლიდერებად მიიჩნევიან დავის დისტანციური გადაწყვეტის სფეროში.[23] აღიარებულია, რომ დისტანციური მედიაციის რიგი უპირატესობების გარდა, მაგალითად როგორიც არის მათი მოხერხებულობა და ხელმისაწვდომობა, მის უპირატესობად აგრეთვე განიხილება არაპერსონალური ხასიათი.[24]

თუმცა რასაკვირველია არსებობს საპირისპირო მოსაზრებებიც – სკეპტიკოსთა აზრით, მედიაციის პროფესიული საზოგადოებები მედიატორებს უვითარებენ იმგვარ უნარებს, რაც უკავშირდება პირდაპირ კომუნიკაციას. მათი მოსაზრებით, აქტიური მოსმენა, კითხვების დასმის ხელოვნება, მოლაპარაკების წარმართვის უნარები, სხეულის ენა თუ არავერბალური კომუნიკაციის სხვა საშუალებები მედიაციის წარმატებისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვნად მიიჩნევა და შესაძლებელია ვერ იყოს მიღწეული დისტანციური საქმისწარმოების პირობებში.[25]

ამის საპასუხოდ კი, შესაძლებელია ითქვას, რომ დისტანციური მედიაცია გულისხმობს მედიაციის სტანდარტული ტექნიკის გამოყენებას მხოლოდ ვირტუალურ სივრცეში.[26] ამასთან, დისტანციური მედიაცია მისი ბუნების გათვალისწინებით, განსაკუთრებული წარმატებით შეიძლება იყოს გამოყენებული ბიზნესდავებისა და კორპორაციათა შორის არსებული დავების გადაწყვეტის პროცესში. ტრანსნაციონალური საზოგადოებები ხომ წარმოადგენენ ეკონომიკის გლობალიზაციის წამყვან ძალას[27] და მათთვის გამორჩეულად ძვირფასია დროითი და ფინანსური რესურსების გონივრული ხარჯვა.

ნებისმიერ შემთხვევაში, მათ შორის საქართველოშიც, მედიაციის ინსტიტუტი მხარდაჭერილია სახელმწიფო პოლიტიკით. მედიაციის საკანონმდებლო დონეზე მხარდაჭერის შემდგომ, განხორციელებულია არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი. ამიტომ, მისი წარმატებული ფუნქციონირება სახელმწიფოს მასშტაბით, დავის გადაწყვეტის სხვა საშუალებეთან ერთად, ერთიან ჯაჭვში, მნიშვნელოვნად უნდა შეფასდეს. ამიტომ, მნიშვნელოვნად მიიჩნევა მისი რესურსის ნაყოფიერი გამოყენება ნებისმიერი კატეგორიის დავებთან მიმართებით, მით უფრო იმ დავებზე, რომელიც დატვირთულია საერთაშორისოკერძოსამართლებრივი ელემენტით, რაც როგორც აღინიშნა, ზრდის მათ კომპლექსურ ხასიათს და დამატებითი სახით მხარეებს უწევთ განსაზღვრონ – თუ რომელი სახელმწიფოს სამართალი შეიძლება იყოს გამოყენებული კონკრეტული დავის განხილვისას. აღსანიშნავია ისიც, რომ საერთაშორისო კერძოსამართლებრივი დავების შემთხვევაში, მაღალია იმის ალბათობა, რომ სამართლის სუბიექტები სხვადასხვა სახელმწიფოს განეკუთვნებოდნენ და, ფიზიკური თვალსაზრისითაც, იყვნენ დისტანცირებულნი, რაც კიდევ უფრო მეტად ზრდის დავის წარმოებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. შესაბამისად, ამგვარ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძლება შეიძინოს დისტანციური მედიაციის წარმართვის შესაძლებლობამ. ამგვარად, კიდევ უფრო მეტი მოცულობით დაიზოგება კონფლიქტის მონაწილეთა დროითი და ფინანსური რესურსი.

აღნიშნული მიდგომა ეხმიანება იმ რეალობას, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში, როგორც ევროპის მასშტაბით, აგრეთვე

Section II: Alternative Dispute Resolution, Yearbook on International Arbitration, p. 160.

22 Lavi D., 2016. Three is not a Crowd: Online Mediation-Arbitration in Busines to consumer Internet Disputes. U. Pa. J. Int l L., 37(3), p. 940.

23 Zhao Y., (2008). Rethinking the Limitations of Online Mediation, American Journal of Mediation, p. 164.

24 Zhao Y., (2008). Rethinking the Limitations of Online Mediation, American Journal of Mediation, p. 163.

25 Krivis J., (2000). Taking Mediation Online, Law Practice Quarterly, p. 19.

26 Lombardi E., (2012). Is Online Mediation the Way to Fit the Forum to the Fuss, Maastricht Journal of European and Comparative Law, p. 531.

27 Wang G., (2009). Mediation in the Globalized Business Environment, Asia Pacific Law Review 17 Asia Pac., p. 48.

გლობალურად, განხორციელდა მნიშვნელოვანი მცდელობები არასასამართლო დავის გადაწყვეტის საშუალებების განვითარების მიზნით. მათ შორის, რამდენადაც გამოიკვეთა, დავის გადაწყვეტის დისტანციურ საშუალებებს გააჩნიათ ნაკლებ მასშტაბური დავების გადაწყვეტის მნიშვნელოვანი რესურსი.[28] ამასთან, მედიაცია აღიარებული იქნა როგორც მთავარი ძალა საერთაშორისო ბიზნეს დავების გადაწყვეტის პროცესში.[29]

საქართველოში არსებული რეგულირების შესახებ

აღსანიშნავია, რომ თავის მხრივ, საერთაშორისო კერძო სამართალი მოიცავს კერძო სამართლის სფეროში შემავალ მრავალ სამართლებრივ საკითხს. მათ შორის: ბიზნეს სამართალს, საოჯახო სამართალს, გაკოტრების სამართალს და სხვა.[30] სწორედ ამ სტრუქტურით არის ჩამოყალიბებული საქართველოს კანონიც საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ, რომელსაც მიღების დღიდან არსებითაც მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განუცდია და ობიექტური შეფასებით, შესაძლებელია რეკომენდირებული იყოს რიგი მუხლების სრულყოფა. მაგალითად, თვალშისაცემია შემდეგი საკანონმდებლო ხარვეზი: აღნიშნული კანონის 68-ე მუხლის 5 ნაწილის თანახმად, „უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო". ხოლო ამავე კანონის 73-ე მუხლის თანახმად, გათვალისწინებულია, რომ „პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ამ თავის დებულებათა შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილებები (განჩინებები და დადგენილებები) ექვემდებარება გასაჩივრებას კანონმდებლობით დადგენილი წესით". ცხადია, ამგვარი რეგულირების არსებობა ურთიერთიერთწინააღმდეგობრივია და საჭიროებს ჰარმინიზირებას. კერძოდ, თუკი უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო, პირველი ინსტანციის სასამართლო, ცხადია ვერ მიიღებს იმგვარ გადაწყვეტილებებს, რომელის შესაძლებელია დაექვემდებაროს გასაჩივრებას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვნად მიიჩნევა საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონში არსებული ურთიერთწინააღმდეგობრივი დათქმების ურთიერთჰარმონიზება, არსებული უზუსტობების აღმოფხვრა.

დასკვნა

სამართლებრივი სახელმწიფოს მიზანია დაიცვას მხარეები, მათ შორის, არსებული კონფლიქტის შედეგად გამოწვეული ზიანისაგან. ამასთან, თანამედროვე საზოგადოებრივ ურთიერთობებებში მზარდია იმ სამართლებრივი ურთიერთობების რაოდენობა, რომლებიც ე.წ. უცხო ელემენტით ხასიათდება და შესაბამისად, მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით დავის გადაწყვეტამდე, გამოყენებულ უნდა იქნას კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ, რაც ნებისმიერ კონფლიქტს მეტად კომპლექსურ ხასიათს ანიჭებს.

ამასთან, სახელმწიფოს ფარგლებში მოქმედი, დავის გადაწყვეტის სხვადასხვა ფორმების სრულყოფილი ფუნქციონირება მნიშვნელოვნად განაპირობებს სამოქალაქო ურთიერთობების სტაბილურობას, უზრუნველყოფს სამართლის სუბიექტთა ინტერესთა განხორციელებას და ერთგვარად, საჯარო ინტერესის გამოხატულებად უნდა შეფასდეს. ხოლო მედიაციის საკანონმდებლო მოწესრიგების კველდაკვალ, მისი გამოყენების მნიშვნელობის წარმოჩენა, საერთაშორისო კერძოსამართლებრივი დავების განხილვის პროცესში, აუცილებლობად უნდა შეფასდეს. მათ შორის, სასურველია ყურადღება გამახვილდეს დისტანციური მედიაციის რესურსის გამოყენების შესაძლებლობაზე. ამ მიმართულებით, საჭიროდ მიიჩნევა საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, რათა სასამართლო განიხილებოდეს როგორც დავის გადაწყვეტის

28 Stegner M., (2017). Online Dispute Resolution: The Future of Consumer Dispute Resolution Section V: ADR Yearbook on International Arbitration, p. 347.

29 Posin Q., (2004) Mediating International Business Disputes, Fordham Journal of Corporate & Financial Law, p. 449.

30 Burman H., (2009). Private International Law Tax, Estate and Individuals, International Lawyer (ABA), p. 471.

ერთ-ერთ და არა ერთადერთ საშუალებად. საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიმართულებით მნიშვნელოვანია იურიდიული პროფესიული საზოგადოებების ჩართულობა, რათა მედიაცია წარმოჩინდეს როგორც საერთაშორისო დავების გადაწყვეტის ერთ-ერთი ეფექტური ალტერნატივა.[31] მეორე მხრივ, საჭიროდ მიიჩნევა საერთაშორისო კერძოს სამართლის შესახებ საქართველოს კანონის სრულყოფა და არსებული ხარვეზების აღმოფხვრა.

ზემოხსენებული რეკომენდაციების გათვალისწინება უზრუნველყოფს როგორც არსებული კერძოსამართლებრივი დავების დროული გადაწყვეტის შესაძლებლობის გამოყენებას, აგრეთვე, სახელმწიფოს მასშტაბით მედიაციის გამოყენების წახალისებას. სამართლის სუბიექტთათვის მეტად თვალსაჩინო შეიძლება გახდეს მიზანი – ნდობა მოუცხადონ მედიაციას, როგორც პროცესს, რომელიც იძლევა მათი საუკეთესო ინტერესების განხორციელების შესაძლებლობას.

31 Petsche M., (2013). Mediation as the Preferred Method to Solve International Business Disputes: A Look into the Future, p. 261.